ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-0125034363**
თარიღი: **03/02/2025**

ადრესატი: უჩა ზაქაშვილი
პირადი ნომერი: 01002016160
მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანისხევის დასახლება, კორპუსი 5, ბინა 58

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში თქვენ მიერ წარმოდგენილ 2024 წლის 9 დეკემბრის №19-01243444340-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2025 წლის 31 იანვრის №92 ბრძანების სახით.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი

პატივისცემით,

დავით ფოცხვერაია

იურიდიული საქალაქო სამსახური-ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება №92

"31" იანვარი 2025 წ.

შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს წარმომადგენლის, უჩა ზაქაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

2024 წლის 9 დეკემბერს შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს წარმომადგენელმა, უჩა ზაქაშვილმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინა №19-01243444340-01 ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 23 დეკემბერს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ საჩივრის ავტორის, შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს წარმომადგენელი, უჩა ზაქაშვილი, ასევე მოწინააღმდეგე მხარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომში - „მუნიციპალური ინსპექცია“) წარმომადგენელი, ნინო კიკვაძე.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 ნოემბრის №004589 დადგენილების გათილად ცნობა ფულადი ჯარიმის დაკისრების ნაწილში და სამშენებლო სამართლადარვევის მცირე მნიშვნელობის გამო, ფულადი ჯარიმის შეცვლა სიტყვიერი გაფრთხილებით. ამასთან, განმარტა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა, რომელსაც შეეხება სადავო დადგენილება, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენისას უკვე გამოსწორებული იყო.

მოწინააღმდეგე მხარის, მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების სრულად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2022 წლის 24 ნოემბრის N1119 ბრძანების აღსრულების ფარგლებში გამოცემულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური") 2023 წლის 20 დეკემბრის N6814858 ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა ჯონი საჯაიას 2022 წლის 25 იანვრის NAR1874315 განცხადება და შეთანხმდა ქ. თბილისში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. 12 კორპ. მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. 12 კორპ. მიმდებარედ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

უდავო გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2022 წლის 24 ნოემბრის N1119 ბრძანების აღსრულების ფარგლებში გამოცემულ იქნა არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა ჯონი საჯაიას 2021 წლის 24 ნოემბრის NAR1853284 განცხადება და გაიცა ქ. თბილისი, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ, 12 კორპ. მიმდებარედ; ვარკეთილის IV მ/რ III კვ. N12 კორპუსის მიმდებარედ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. ამავე ბრძანებით, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. ასევე, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით მშენებლობის ეტაპები განისაზღვრა შემდეგნაირად: „I რიგის სამუშაოები: 1. სამშენებლო მოედნის მოწესრიგება: მათ შორის ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებული მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან; 2. შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება; II რიგის სამუშაოები: 3. შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები, „ე" ღერძთან გამაგრებით; შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე; 4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულიდან; 5. შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა; 6. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; 7. შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; 8. ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი; 9. შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; 10. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები".

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება დაიწყო 2024 წლის 29 აგვისტოს №004589 მითითების გაცემით, რომელშიც სამართალდარღვევად დაფიქსირდა ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასხლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, №11დ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით,

კერძოდ, დარღვეულია ხსენებული გრძანების მე-4 ეტაპით, „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულიდან“, გათვალისწინებული სამუშაოები (0.00 ნიშნულზე „2-4“ და „გ-დ[1]“ მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა). ამავე მითითებით, მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა უსაფრთხოების ნორმების დაცვით ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 სექტემბრის №004589 შემოწმების აქტით დაფიქსირდა ამავე ინსპექციის 2024 წლის 29 აგვისტოს №004589 მითითებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმის მასალებში წარმოდგენილია შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს სამართალდარღვევის საქმეზე გამართული მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 7 ოქტომბრის №004589 ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ სხდომაზე გამოცხადებულმა შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს წარმომადგენელმა, უჩა ზაქაშვილმა განმარტა, რომ ობიექტზე მიმდინარეობდა სადავო სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორებისთვის საჭირო სამუშაოები, რისთვისაც მოითხოვა დამატებითი ვადის განსაზღვრა.

საქმის მასალებში წარმოდგენილი მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 ნოემბრის მოხსენებითი ბარათებით ირკვევა, რომ შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს მიერ არ იქნა შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 29 აგვისტოს №004589 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 ნოემბრის №004589 დადგენილებით შპს „მშენებელი ვაზისუბანში“ დაჯარიმდა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასხლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, №11დ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი) სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული მშენებლობისთვის, კერძოდ, დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-4 ეტაპით „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულიდან“ გათვალისწინებული სამუშაოები.

საჯარო რეესტრის 2024 წლის 21 თებერვლის ამონაწერით (882024217823) დგინდება, რომ ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასხლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, №11დ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მშენებელი ვაზისუბანში“.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების (შემდგომში - „№255 დადგენილება“) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია: „აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე“. ამავე დადგენილების მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ამ წესის მე-18 მუხლის მიზნებისთვის მშენებლობის განხორციელების პროცესი იყოფა რიგებად, ხოლო რიგები – ეტაპებად“, ხოლო მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები განისაზღვრება მშენებლობის ორგანიზების პროექტით.“ საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-3 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტის მიხედვით მშენებლობის ორგანიზების პროექტი არის მშენებლობის პროექტის განუყოფელი ნაწილი, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული მშენებლობის განხორციელების პირობები, მათ შორის: სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღე, მშენებლობის ეტაპები და ხანგრძლივობა, მშენებლობის განხორციელების გრაფიკი მშენებლობის ეტაპების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკისა და საშენი მასალებისათვის განკუთვნილი ადგილი, დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ღონისძიებები, დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი, ამა თუ იმ სამუშაოს განხორციელების ოპტიმალური ვადა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

№255 დადგენილების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას მშენებლობის ნებართვის მფლობელს დაეკისრება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის, „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა: საქართველოს ტყის კოდექსითა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა ამ მუხლის 1^1 და 1^2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) გამოიწვევს დაჯარიმებას: IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისას – 15 000 ლარის ოდენობით“.

მითითებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ კანონმდებლობა სანებართვო პირობების დარღვევით სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას მიიჩნევს სამშენებლო სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახედ და უკავშირებს მას შესაბამის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ამასთან ერთ-ერთ სანებართვო პირობას, რომლის შესრულების ვალდებულება მშენებლობის ნებართვის მფლობელს გააჩნია, წარმოადგენს მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე წარმოება, რომელიც ასევე გულისხმობს სამშენებლო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის (ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების) დაცვას. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესწავლის ფარგლებში კი უნდა გამოირკვეს, თუ რამდენად არსებობდა დადგენილების გამოცემის დროისათვის ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა. შესაბამისად, ამ მიზნით უნდა შემოწმდეს საპროექტო ობიექტზე დადგენილების გამოცემის დროისათვის განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობა სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ სანებართვო პირობებთან.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ, როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს შორის აღინიშნა, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 დეკემბრის N6814858 ბრძანებით, ქ. თბილისში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. 12 კორპ.

მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. 12 კორპ. მიმდებარედ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო ამავე სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანებით ზემოხსენებული საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის ნებართვა და განისაზღვრა მშენებლობის ეტაპები. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტის დადგენის მიზნით, განხორციელებული მშენებლობის შესაბამისობა, სათანადო სამშენებლო დოკუმენტაციასთან, კერძოდ, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 დეკემბრის N6814858 და 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანებებთან მიმართებით უნდა შეფასდეს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის სადავო აქტის გამოცემის დროისათვის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათების და არქიტექტურის სამსახურის ზემოხსენებული ბრძანების შეფასების შედეგად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, №11დ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ეტაპების დარღვევით განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობა, კერძოდ, დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-4 ეტაპით განსაზღვრული სამუშაოები (0.00 ნიშნულზე „2-4“ და „გ-დ¹“ მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა).

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასევე მიუთითებს №255 დადგენილების 27-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს მშენებლობის პროცესში დაშვებულ ისეთი სახის ცდომილებებს, რომელთა არსებობა არ საჭიროებს მშენებლობის ახალი ნებართვის მოპოვებას. ამავე დადგენილების 27¹ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „გარდა 27-ე მუხლში განსაზღვრული შემთხვევებისა, სამშენებლო დოკუმენტში ცვლილებების შეტანა საჭიროებს მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას“. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სადავო დადგენილებით გათვალისწინებული დარღვევები არ არის გათვალისწინებული 27-ე მუხლის ჩამონათვალში, შესაბამისად, ადგილი აქვს ისეთი სახის დარღვევებს, რაც კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება სამშენებლო დოკუმენტის დასაშვებ ცვლილებებად.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ ადგილი აქვს სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული ცალკეული ეტაპით (მე-4 ეტაპი) გათვალისწინებული სამუშაოების დარღვევით წარმოებას, რის გამოც არსებობს შესაბამისი სუბიექტისთვის ეტაპის დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

რაც შეეხება სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებელ სათანადო სუბიექტს, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, „ამ კოდექსის XIV და XV თავების მიზნებისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევი შეიძლება იყოს: ა) მშენებლობის ნებართვის მფლობელი; ბ) უნებართვო

მშენებლობის განმახორციელებელი პირი; გ) შენობა-ნაგებობის ან/და სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე – თუ ვერ დგინდება მშენებლობის განმახორციელებელი პირი; დ) უნებართვო მშენებლობის განხორციელებისას, თუ მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, – უნებართვო მშენებლობის განმახორციელებელი პირი, ხოლო თუ ეს პირი ვერ დგინდება – მიწის ნაკვეთით მოსარგებლე; ე) მესაკუთრე, რომლის შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, გარდა კულტურული/არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობისა, რომლის რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის შესახებ მესაკუთრემ მიმართა შესაბამის ორგანოს და ვერ მიიღო საჭირო ნებართვა".

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი".

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სამშენებლო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მშენებლობის ნებართვის მფლობელს. მშენებლობის ნებართვის მფლობელს კი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს პასუხისმგებლობა დაეკისრა, როგორც მშენებლობის ნებართვის მფლობელს. სადავო დადგენილებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის აღნიშნული სუბიექტისთვის დაკისრების საფუძველი გამომდინარეობს იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ სწორედ იგი წარმოადგენს არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელს, ასევე №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. შესაბამისად, მას გააჩნდა საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. ამდენად, სწორედ შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს ვალდებულებას წარმოადგენდა, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის N6828662 ბრძანების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას სანებართვო პირობებით გათვალისწინებულ მოთხვნათა დაცვა.

რაც შეეხება სამართალდამრღვევის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან".

ხსენებული ნორმის ანალიზის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. შესაბამისად, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსი განეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის შემადგენელ ერთ-ერთ საკანონმდებლო აქტს, რომლის მიზანსაც სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, სამშენებლო სამართალდარღვევათა გამოვლენა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით სამშენებლო საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო სამშენებლო სამართალდარღვევა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ სპეციფიურ სახეს, რომელზეც ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სახდელის დადების ზოგადი ნორმები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით“. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, „თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა“.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევაზე ცალკე კანონმდებლობა ვრცელდება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი ზოგადია ყველა სამართალდარღვევისთვის. ამასთან, განსახილველი შემთხვევის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ რეგულირებას და მითითებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოებების გავრცელების დაუშვებლობაზე. ამდენად, მართალია, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი კონკრეტული სახდელი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, რაც არ იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა ორგანომ შემამსუბუქებელი გარემოების არსებობის პირობებშიც გამოიყენოს უფრო მსუბუქი ჯარიმა, თუმცა, არ შეიძლება სრულად გამოირიცხოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებაზე მსჯელობის აუცილებლობა.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სანქციის გამოყენების უპირველეს მიზანს არ წარმოადგენს პირის მიმართ რეპრესიული ღონისძიების გატარება და დასჯა, არამედ სამართალდარღვევის აღმოფხვრა, პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიების გატარება, რათა შემდგომში იმავე სუბიექტის მიერ აცილებულ ან მინიმუმამდე დაყვანილ იქნას მსგავსი ქმედების ჩადენა. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სუბიექტის მიმართ გამოყენებული სანქციის პროპორციულობის და თანაზომიერების დასადგენად მნიშვნელოვანია საქმეზე არსებული შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2025 წლის 21 იანვრის №17-01250213561 წერილზე და მასზე თანდართულ მოხსენებით ბარათსა და ფოტოსურათებზე, რომლებიც ასახავს დადგენილების გამოცემის შემდგომ, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროისათვის სამართალდარღვევის ადგილზე არსებულ სიტუაციას. მოცემულ შემთხვევაში, ხსენებული წერილითა და ფოტოსურათებით უტყუარად დგინდება, რომ შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს მიერ სამართალდარღვევის ობიექტი მოყვანილია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგად არ დამდგარა მავნე შედეგი და ამჟამინდელი მდგომარეობით საჩივრის ავტორის მიერ სამართალდარღვევიდან მომდინარე მავნე შედეგების დადგომის საფრთხე თავიდან აცილებულია, კერძოდ სამართალდარღვევის ობიექტი მოყვანილია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში, ასევე ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათისა და სიმძიმის, დამრღვევის მიერ წარსულში მართლსაწინააღმდეგო იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის ფაქტის არარსებობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი და მას უნდა გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

ამდენად, მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 ნოემბრის №004589 დადგენილება „მშენებელი ვაზისუბანში"-ს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით დაჯარიმების ნაწილში გათილად უნდა იქნას ცნობილი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე შპს „მშენებელი ვაზისუბანში" უნდა გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

საკითხის სრულყოფილი შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 ნოემბრის №004589 დადგენილება გათილად უნდა იქნას ცნობილი შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-სთვის ჯარიმის დაკისრების ნაწილში და შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე უნდა გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს წარმომადგენლის, უჩა ზაქაშვილის 2024 წლის 9 დეკემბრის №19-01243444340-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. გათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 19 ნოემბრის №004589 დადგენილება შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-სთვის ჯარიმის დაკისრების ნაწილში.
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე შპს „მშენებელი ვაზისუბანში“ გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.
4. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე

სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
საქართველო, თბილისი, 0160,
შარტავას ქ.40.
ტელ: +995 /32 / 224 07 07
info@hbg.ge, www.halykbank.ge

HALYK BANK
HALYK BANK GEORGIA

JSC "Halyk Bank Georgia"
Georgia, Tbilisi, 0160,
40 Shartava str.
Tel: +995 / 32 / 224 07 07
info@hbg.ge, www.halykbank.ge

04.12.2024 № 13/452

№_____ _____

შპს მშენებელი ვაზისუბანში (ს/ნ 400297736)

გაცნობებთ, რომ შპს მშენებელი ვაზისუბანში-ს (ს/ნ 400297736) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე:ქალაქი თბილისი,ვარკეთილის IV მ/რ III კვ .№12კორპ-ის მიმდ. , საკადასტრო კოდით 01.17.10.004.045 დატვირთულია იპოთეკით სს "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს სასარგებლოდ, იპოთეკის ხელშეკრულების N 000106.457-ა საფუძველზე, დამოწმების თარიღი 20.02.2024 წელი.

სს "ხალიკ ბანკი საქართველო", როგორც იპოთეკარი თანახმაა, უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 01.17.10.004.045, შევიდეს ცვლილება სამშენებლო პროექტში , არქიტექტურის სამსახურის განაცხადების, ნომერი: AR11064620 (თარიღი 02/11/2024წ.) პარამეტრების მიხედვით, მასზე იპოთეკის უფლების სრულად შენარჩუნებით.

პატივისცემით,

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე

04.12.2024წ.

№ 0857131 ბლანკი სერიული ნომრის გარეშე ბათილია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01243451445**
თარიღი: **10/12/2024**

ადრესატი: შპს მშენებელი ვაზისუბანში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400297736
მისამართი: ქალაქ თბილისი, თავხელიძის I

თქვენი 13.11.2024წ. N10/01243182289-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ, 12 კორპ. მიმდებარედ; ვარკეთილის IV მ/რ III კვ. N12 კორპ-ის მიმდ., კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.17.10.004.045) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29.12.2023წ. N6828662 ბრძანებით განსაზღვრული I-II ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/ე2080-24
"19" 11. 2024 წ.

დადგენილება №004588
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

19.11.2024წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე 2024 წლის 29 აგვისტოს №004588 მითითება და 2024 წლის 19 სექტემბრის №004588 შემოწმების აქტი, შედგენილი **შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს** (საიდენტიფიკაციო: №400297736; მის.: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, II მ/რ, კორპუსი 2, ბინა 22) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, №11დ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შპს „მშენებელი ვაზისუბანში“-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6828662 29.12.2023წ. ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ: დარღვეულია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მე-3 ეტაპით – “შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები, „ე” ღერძთან გამაგრებით; შენობა-ნაგებობიოს ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე” გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: -2,70 ნიშნულზე ე-4 და გ-დ[1] მონაკვეთში კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა ე[1]-ე[1] ღერძის გარეთ, მონოლითური კედლის ნაწილი გადაწყდა მიმდინარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.10.004.019).

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2024 წლის 29 აგვისტოს შედგენილ იქნა №004588 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2024 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №004588 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. კერძოდ: ე[1]-ე[1] ღერძის გარეთ, მონოლითური კედლის ნაწილი აღარ გადადის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.10.004.019).

2024 წლის 7 ოქტომბერს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღების და დროის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს წარმომადგენელი მოქ. უჩა ზაქაშვილი (პ/ნ 01002016160), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული დარღვევა ნაწილობრივ გამოსწორებულია, ხოლო დანარჩენ ნაწილსაც გამოასწორებს წარმოების პროცესში, შესაბამისად ითხოვა მაქსიმალური ვადები დარღვევის გამოსასწორებლად. დარღვევის გამოსწორებას აპირებს დემონტაჟის გზით. სამსახურის მხრიდან მხარეს განემარტა იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც შეიძლება დადგეს დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში.

2024 წლის 19 ნოემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინა, რომ შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს მიერ შესრულდა 2024 წლის 29 აგვისტოს №004588 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: ე[1]-ე[1] ღერძის გარეთ, მონოლითური კედლის ნაწილი აღარ გადადის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.10.004.019). -2,70 ნიშნულზე 2-4 და გ-დ[1] მონაკვეთში კიბის უჯრედში საფეხურების რაოდენობა მოყვანილია შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, №11დ, №01.17.10.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6828662 29.12.2023წ. ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ: დარღვეულია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მე-3 ეტაპით – "შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები, „ე" ღერძთან გამაგრებით; შენობა-ნაგებობიოს ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ დარღვევა გამოსწორებულია სრულად, ე[1]-ე[1] ღერძის გარეთ, მონოლითური კედლის ნაწილი აღარ გადადის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.10.004.019). -2,70 ნიშნულზე 2-4 და გ-დ[1] მონაკვეთში კიბის უჯრედში საფეხურების რაოდენობა მოყვანილია შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება **შპს „მშენებელი ვაზისუბანში"-ს** მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი

გოგი ჩიქოვანი